




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 59

2016 წლის 23 ივნისი

ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №148 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე სასწავლო წლის ვადამდე ადრე შეწყვეტის გამო და კვებაზე გამართული ტენდერიდან წარმოშობილი ეკონომიის შედეგად გამოთავისუფლებული თანხებით შემცირდეს სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №148 განკარგულებით დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულებაში პროგრამის დანართი №1-ში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის სახით(დანართი №1 თან ერთვის ორ ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ.№15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

**ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღზრდის სფეროში
განსახორციელებელი პროგრამა**

სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება“. გაერთიანება მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს- №1, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13 და ვაყის საბავშვო ბაღებს. მათ შორის, ხაშურში განთავსებულია №1-№8 საბავშვო ბაღები, დაბა სურამში-№9, სოფელ ცხრამუხაში-№10, სოფელ გომში-№11, სოფელ ოსიაურში-№12, სოფელ ალში-№13 და საბავშვო ბაღი სოფელ ვაყაში.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნებას და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას.

პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებას სასწავლო და არასასწავლო პერიოდში.

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს გაერთიანებაში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას და ბავშვთა კვებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

პროგრამის ხანგრძლივობა

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 1 237 400 ლარი, რაც გათვლილია 1739 ბავშვზე; თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და მის მიერ მოწოდებული მონაცემები ბავშვთა რაოდენობის შესახებ.

დაფინანსება განხორციელდება ყოველი თვის ბოლოს საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ წარმოდგენილი ბავშვთა ფაქტიური დასწრების შესაბამისად.

#	დასახელება	ბავშვთა რაოდენობა	კვების ხარჯი	შრომის ანაზღაურება	სხვა დანარჩენი	სუბსიდია სულ წელიწადში
1	საბავშვო ბაღების გაერთიანება	1 739	310 800	763 140	163 460	1 237 400

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

_მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურების ხელმისაწვდომობა

_ მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება.

_სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

შეფასების ინდიკატორი:

- აღსაზრდელთა რაოდენობა